

ლელო

ლელო ორგანიზაციის სახელით ორგანიზაციის სახელით ორგანიზაციის სახელით

№ 111 (1281) საშუალო, 16 სექტემბერი, 1958 წ. გამოცემის მე-15 წელი. ფასი 80 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებაში

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 სექტემბერი	15	12	4	3	50:24	28
„სპარტაკი“	19	12	4	3	50:24	28
„დინამო“ მ.	20	12	8	5	89:24	27
ცსკ მთ	20	8	8	4	88:24	24
„ლოკომოტივი“	18	8	5	5	35:25	21
„წიგნი“	18	7	7	4	35:28	21
„შახტიორი“	17	9	3	5	21:21	21
„ტორედო“	19	5	8	6	46:39	18
„დინამო“ კ.	16	4	8	4	29:24	16
„კრ. სოვეტ.“	18	4	6	8	19:25	14
„დინამო“ თბ.	18	6	2	10	28:51	14
„მოლოდოვა“	18	2	8	8	22:27	12
„ადმირალტ.“	21	3	0	18	21:61	6

მოსკოვი, 14 სექტემბერი. აქ გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი ადგილობრივ გუნდებს შორის, „დინამო“ ანგარიშით 2:1 დაამარცხა გათამაშების ლიდერი „სპარტაკი“.

კუიბისევი, 14 სექტემბერი. ადგილობრივმა „კრილია სოვეტოვმა“ მილო მოსკოვის „ლოკომოტივი“ შეხვედრა მოიგეს მასპინძლებმა ანგარიშით 4:1.

გათამაშების ცხრილი

IV წონა

მდგომარეობა 16 სექტემბერი

„სპარტაკი“ (ერევანი)	23	13	8	2	38:9	34
„ბურვეესტნიკი“ (თბილისი)	24	13	8	3	50:25	34
სკო (როსტოვი)	24	14	5	3	62:22	33
„ლოკომოტივი“ (ქუთაისი)	24	14	5	5	56:29	33
„უზბეკი“ (კრასნოდარი)	24	14	5	5	47:27	33
სკო (თბილისი)	23	12	4	7	40:30	28
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	24	11	6	7	42:33	28
„თურგი“ (გროზნო)	24	10	4	10	34:45	24
„შახტიორი“ (კაღიჯი)	24	7	8	9	31:33	22
„ლოკომოტივი“ (სტალინი)	25	9	4	12	38:50	22
„სპარტაკი“ (სტავროპოლ)	24	5	11	8	27:42	21
„მეტალურგი“ (სტალინი)	26	8	4	14	20:47	20
„შახტიორი“ (შახტი)	24	6	6	12	21:32	18
„ვირჟი“ (ლენინკანი)	24	7	3	14	19:31	17
„ტემში“ (მახაჩკალა)	25	5	3	17	20:44	13
„ტრული“ (ასტრახანი)	23	2	2	19	17:58	6

შენიშვნა: ცხრილში შეტანილი არ არის გროზნოს „თურგისა“ და სტავროპოლის „სპარტაკის“ 14 სექტემბრის მატჩის შედეგი.

საუბროსანი

ლიერესი ჩოგბურთელი გ. ღარიბაშვილი იყენებს სწორედ ისინი, რომლებიც მათთვის უნდა იღებდნენ მოწოდებას, მათი შემცველი თაობა და აი, როგორი მაგალითი მისცეს მათ: არაფრად აგებდნენ გუნდის ინტერესებს, დისციპლინას, თვრებდნენ, დამის 2-3 საათამდე უკვლავ იკარგებდნენ და... მეორე დღეს სათამაშოდ გამოდიოდნენ. რაღა საკვირველია, რომ ერთმა წაგო უკრაინელ ნეგერთან, მეორემ — კოშელიოვთან. როცა თანაგუნდელმა ამხანაგებმა აღმოაჩინა გამოთქვის კოლექციის ინტერესების აბურღად აგების გამო, ღარიბაშვილმა უპასუხა: მე პირადი შედეგები მაინტერესებს, გუნდისა კი... და ამის უკეთ დასამტყებლად, იმავე დამის ორჯე „გმირი“ ხელახლა დათვრა, თანაც ისე სამარცხვინოდ, რომ ურავესკი უკრაინელმა სპორტსმენებმა იპოვნეს „სადაც“ და შეიფარეს. მეორე დღეს კი ისევ თამაში და ისევ აღმაშოთებლად დაკარგული ქულა...

აი როგორ გამოვიდა საქართველოს ჩოგბურთელთა გუნდი პროფკავშირების სპარტაკიდან V ადგილზე! ასეთივე „წარმატებით“ შეიძლება ველოდოთ მორიგ გადამსცვლებებს უფრო მაღალი წონის ადგილებისაკენ, ვინაიდან ვ. ურავესკისა და გ. ღარიბაშვილის ასეთი საქციელი, თავისი არსით, ვარაუდობს და განვითარებას პოპულარს ჩვენს ჩოგბურთელთა შორის, იგი მავნე, გადამდები „ბაცილებითა“ აღსავსე.

ურავესკი 5-7 წლის წინათ საბჭოთა კავშირის უძლიერეს ათეულში შედიოდა, ნიჭიერ, უკეთესი მომავლის მქონე სპორტსმენად ითვლებოდა. მაგრამ, იმის გამო, რომ დისციპლინას არ იცავდა, სისტემატურად სვამდა, ნაკლებად ვარჯიშობდა, იგი წინსვლის ნაცვლად სულ უფრო და უფრო ჩამოქვეითდა, ყოველგვარი პერსპექტივები გაატანა ლითონსა, გახდა უღიმღამო სპორტსმენი და მაინც მიმდინარე წლის თბილისის პირველობაზე... პირველი ადგილი აიღო, ჩემპიონი გახდა (!). საიშედლო მდგომარეობაზე მეტყველებს ეს ფაქტი? რაღას უნდა წარმოადგენდნენ ჩვენი სხვა ჩოგბურთელები, რომლებსაც სათავეში მოექცათ ურავესკი, უწვრთნელი სპორტსმენი? უკვე ხომ არ აუღიათ მისგან, როგორც „მოწინავესაგან“, მაგალითი?

დაიხ, დაიხ! მისი მაგალითი, იქნებ მეტად შორეული ფორმებით გამოვლენილი — ე. ი. მაგალითი დაბალი მორალური თვისებებისა, ცუდი თავდაპირის, უდისციპლინობისა — საქმოდ ფართოდ იჩენს გავლენას ჩვენს ე. წ. მოწინავე ჩოგბურთელებს შორის, ამის მაგალითი გ. ღარიბაშვილია, ახალგაზრდა, ნიჭიერი სპორტსმენი, რომელიც უწყალოდ ფანტავს თავის შესაძლებლობებს უწყვეტივით და ამის წყალობით მისი, როგორც მებრძოლი სპორტსმენის, მორალური მდგომარეობა არაოპტიმალურად იქცა: საბჭოთა კავშირის 1957 წლის პირველობაზე, გადამწყვეტ პარტიაში, რომელიც მას 4:1-ზე მიჰყავდა, მსაჯის ერთი შეცდომის გამო წონასწორობიდან გამოვიდა, მოირღვა და ბრძოლის შეუპოვრად გაგრძელების ნაცვლად... ატირდა (ნამდვილად ატირდა!). რასაკვირველია, ტირილი

თამაშს ვერ მოიგებდა და იგი წაგებული იქნა. კიდევ ერთი მაგალითი: გ. კაპანაძე, საქართველოს გასული წლის ჩემპიონი, არ შეიძლება გავაიგიოთ ვ. ურავესკისთან და გ. ღარიბაშვილთან, მაგრამ მითუმეტეს სავალალოა, რომ მასშიც აღმოჩნდა შემოადნაშენული მრისხანე სენის — ინდივიდუალიზმის, უდისციპლინობის, დაბალი მორალური გამძლეობის — „ბაცილები“. თბილისის პირველობაზე, ნახევარფინალში მან შეხვედრა წააგო და ფაქტურად იმის გამო, რომ დაკარგა პირველობის შანსები, მეორე დღეს სრულებით არ გამოცხადდა თამაშზე მესამე ადგილის გასარკვევად. ეს ხომ, სხვას რომ თავი დავანებოთ, მოწინააღმდეგის უპატივცემლობა! მაგრამ მოწინააღმდეგეს ვინ ჩივის, როცა მან ეს თვისება თვით საკუთარი კოლეგის მიმართაც გამოიჩინა: არ გამოცხადდა წველითა თამაშზე, უღალატა პარტნიორს... ასეთი მაგალითები შორს წაგვიყვანდა. ისინი ზრავდა არიან. საშიში სენის სხვადასხვა ფორმით იჩენს თავს: მსაჯებთან კონკლავობით, აღვირახსნილობით მოედანზე (ბურთისათვის ფეხით გარტყმა, უწაწური წამოძახილები, ჩოგანის გადაგდება და სხვ.); შეჭირბებათა ცუდი, დაუდევარი ორგანიზაციით, არაკომუნიკაბილურობითა და ა. შ. ყველაფერი ეს გამანადგურებლად შლის ჩვენს საჩოგბურთო ორგანიზმს და გამრყენვლად მოქმედებს მოზარდ ცვლაზეც, რომელიც, სავსებით ბუნებრივია, მაგალითის ასაღებად და მისაბაძად სწორედ საქართველოს ჩემპიონებს, თბილისის ჩემპიონებს, წამყვან ჩოგბურთელებს უჭურებს. იქნებ ამის ბრალიც იყოს საქართველო ასპარეზობებზე ჯაბუთა წარმატებების მეტად მერყევი, არამდგრადი ხასიათი? 1957 წლის ზამთრის პირველობაზე — I ადგილი, 1958 წელს, ამავე პირველობაზე — V ადგილი, სპარტაკიდან — II ადგილი, მომავალი წლის ასპარეზობებში — ?...



10,4 წონა

ასეთი ა

რ. ტრაპაიძის

შედეგი

მძლესობაში საქართველოს პირველობის ანგარიში იხ. მე-4 გვ.

სურათზე — რ. ტრაპაიძემ (მარჯვნივ პირველი) აიღო სტარტი.

ენიშვნებით

„იყავ მზად შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“

კომპლექსი 13-16 წლიანთათვის

I-II საფეხური

სახეობანი	ბიჭები	გოგონები
1. დილის ჰიგიენური ტანვარჯიში („ფიზდატურა“)	სპეციალური პირობების მიხედვით	
2. რბენა	60 მ	60 მ
3. ხტომა	სიგრძეზე გამორბენით	
4. ტყორცვა*	ბურთისა მიხაზნი	
5. ცურვა	50 ან 100 მ.	50 ან 100 მ.
6. თხილამურები (თოვლიან რაიონებში) ან ტურისტული გადასვლა (უთოვლო რაიონებში)	3 კმ	2 კმ
7. პიონერებისათვის დამახ. ჩვენები	სპეციალური პირობების მიხედვით	
	III საფეხურის პირობებისა და მოთხოვნ. შესაბამისად	

ჩასათვლელი მოთხოვნები. I საფეხურის ნიშნის მისაღებად საჭიროა 125 ქულის, მეორე საფეხურის ნიშნის მისაღებად — 250 ქულის მოგროვება.

* მანძილი 10 მ, სამიზნის დიამეტრი 1 მ, 5 კონცენტრირებული წრე 10 მ სიგანით. ნორმატივის ჩამბარებელმა უნდა შეასრულოს 10 ტყორცვა, სამიზნის ცენტრში მოხვედრისათვის ეძლევა 5 ქულა, ხოლო შემდეგ თანმიმდევრობით — 4, 3, 2, 1 ქულა.

„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“

კომპლექსი 16-18 წლიანთათვის

I-II საფეხური

სახეობანი	კაბუკები	ქალიშვილები
1. მიზიდვა (ღერძე) მოღუწე და გაშლა საყრდენზე (ტანვარჯიშულ სკამზე)	—	რაოდენობაზე
2. რბენა	100 მ	100 მ
3. კროსი	800 მ	500 მ
4. გამორბენით ხტომა	სიმაღლეზე ან სიგრძეზე ყუმბარის ან ბირთვის	სიმაღლეზე ან სიგრძეზე ყუმბარის ან ბირთვის
5. ტყორცვა	—	—
6. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლა	50 ან 25 მ. 5 გას.	—
7. ცურვა	100 მ	100 მ
8. თხილამურები (თოვლიანი რაიონებისათვის)	5 კმ	3 კმ
9. მარშ-ლაშქრობა (უთოვლო რაიონებისათვის) ან ველოსიპედი	5 კმ	3 კმ
9. კაბუკთა თანრიგი (III საფეხ. ნიშნის მისაღ.)	25 კმ	10 კმ

ჩასათვლელი მოთხოვნები. I საფეხურის ნიშნის მისაღებად აუცილებელია კაბუკებმა მოაგროვონ 200 ქულა, სპირობა 400 და 350 ქულა.

18 წლისა და უფროსი ასაკისათვის

I-II საფეხური

სახეობანი	კაცები	ქალები
1. კიდოდან ბჯენში გადასვლა ნებისმიერი ხერხით (ღერძე) წოლითი მდგომარეობიდან დამატებული ფეხებით ხეტანის აწევა და დაშვება	რაოდენობაზე	—
2. რბენა	100 მ	100 მ
3. კროსი	1500 ან 3000 მ.	500 მ
4. ცურვა	100 მ	100 მ
5. სროლა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან	5 გასრ. 50 მ.	—
6. ტყორცვა	ხელყუმბარის, ბადროს, შუბის ან ბირთვის კვრა	—
7. სათხილამურო რბენა (თოვლიან რაიონებისათვის) მარშ-ლაშქრობა (უთოვლო რაიონებისათვის) ან ველოსიპედი	5 ან 10 კმ	3 ან 5 კმ
8. III სპორტული თანრიგი* II საფეხურის ნიშნის მისაღებად	5 ან 10 კმ	3 ან 5 კმ
9. მოტორის მართვა (II საფეხურის ნიშნის მისაღ.)	25 კმ	10 კმ

სპორტის ნებისმიერ სახეობაში გარდა შაშხისა და ქაღრაქისა, მოტოციკლის, ავტომობილის, ტრაქტორის, მოტორიანი ნავის, თვითმფრინავის მართვის უფლება

ნორმატივი ჩაბარების უფასოების ქულათა ცხრილი

მეორე კომპლექსი
კაბუკები და მოხრდილები

სახეობანი	რა შედეგის შემთხვევაში ქულები ითვლება	რა სიდიდე დასდება	რა უფასობა ეძლევა	რა შედეგის შემთხვევაში ქულები 100 ქულა
1. რბენა 100 მ	15,6 წამი	0,1 წამი	2,5 ქულა	11,6 წ.
2. კროსი 800 მ	3 წ. 00 წმ.	1 წამი	2	2 წ. 10 წმ
3. კროსი 1.500 მ	6 წ. 30 წმ.	1 წამი	1	4 წ. 50 წმ
4. კროსი 3.000 მ	13 წ. 30 წმ.	2 წამი	1	10 წ. 10 წმ
5. ხტომა სიმაღლეზე	1 მ 10 სმ	1 სმ	2	1 მ. 60 სმ
6. ხტომა სიგრძეზე	3 მ 40 სმ	2,5 სმ	1	5 მ 90 სმ
7. 700 გრ. ყუმბარის ტყორცვა	25 მ	1 მ	3	58 მ
8. შუბის ტყორცვა	20 მ	25 სმ	1	45 მ
9. ბადროს ტყორცვა (1,5 კგ)	18 მ	25 სმ	1	43 მ
ბადროს ტყორცვა (2 კგ)	15 მ	25 სმ	1	35 მ
10. ბირთვის კვრა 6 კგ. 7,25 კგ-იანი	6 მ	5 სმ	1	11 მ
11. მიზიდვა	5 მ 50 სმ	5 სმ	1	10 მ 50 სმ
12. კიდოდან ბჯენში აწევა	სამჯერ	ერთჯერ	5	23-ჯერ
13. ცურვა 100 მ. ა) დროის ჩაუთვლელად ბ) დროის ჩათვლით	—	—	25	—
14. თხილამურები 5 კმ. 10 კმ.	2 წ. 45 წმ. (26 ქულ. ხევით)	1 წამი	1	1 წ. 30 წმ
15. მარშ-ლაშქრობა 5 კმ. 10 კმ.	33 წ. 30 წმ. 1 ს. 18 წ.	6 წამი 18 წამი	1	23 წ. 30 წმ
16. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლა 50 შესაძლებლიდან	28 ქულა	1 ქულა	5	48 ქულა
17. ველო-კროსი 25 კმ. საგზაო მანქანით	1 ს. 25 წ.	18 წამი	1	55 წუთი

მეორე კომპლექსი

სახეობანი	რა შედეგის შემთხვევაში ქულები ითვლება	რა სიდიდე დასდება	რა უფასობა ეძლევა	რა შედეგის შემთხვევაში ქულები 100 ქულა
1. რბენა 60 მეტრზე ბიჭები	10,0 წ.	0,1 წმ	3,5 ქულა	7,2 წ.
გოგონები	11,0 წ.	0,1 წ.	3,5	8,2 წ.
2. ხტომა სიგრძეზე ბიჭები	3 მ 20 სმ	2 ს.	1	5 მ 20 სმ
გოგონები	2 მ 60 სმ	2 სმ.	1	4 მ 60 სმ
3. ცურვა ა) დროის გარეშე 50 მ ბ) დროის აღრიცხვ. 100 მ ბიჭები	—	—	20	—
გოგონები	3 წ. (21 ქულადან ხევით) 3 წ. 15 წმ. (21 ქ. ხევით)	1 წამი	1	1,40 წამი
4. ბურთის სროლა მიხაზნი ბიჭები	10 ქ.	1 ქ.	2,5	50 ქულა
გოგონები	5 ქ.	1 ქ.	2,5	45
5. თხილამურები ბიჭები 3 კმ 5 კმ	24 წუთი 35	5 წამი 6	1	15 წ. 40 წმ 25 წუთი
გოგონები 2 კმ 3 კმ	20 წუთი 27	5 წამი 6	1	11 წ. 40 წმ 17 წ.

მეორე კომპლექსი გოგონები და ქალები

სახეობანი	რა შედეგის შემთხვევაში ქულები ითვლება	რა სიდიდე დასდება	რა უფასობა ეძლევა	რა შედეგის შემთხვევაში ქულები 100 ქულა
1. რბენა 100 მ.	17 წამი	0,1 წ.	2,5 ქულა	13 წამი
2. კროსი 500 მ.	2 წ. 15 წმ.	1 წამი	2,5	1 წ. 35 წმ
3. ხტომა სიმაღლეზე	1 მ.	1 სმ	2,5	1 მ 40 სმ
4. ხტომა სიგრძეზე	2 მ. 80 სმ.	2 სმ	1	4 მ 80 სმ
5. ყუმბარის ტყ. 700 გრ. 600	15 მ.	20 სმ	1	35 მ
6. ბირთვის კვრა (4 კგ.)	15 მ.	25 სმ	1	40 მ
7. ბადროს ტყ. (1 კგ.)	6 მ.	5 სმ	1	11 მ
8. შუბის ტყ. (600 გრ.)	13 მ.	20 სმ	1	33 მ
9. ცურვა 100 მ. ა) დროის ჩაუთვლელად ბ) დროის ჩათვლით	—	—	25	—
10. თხილამურები 3 კმ.	3 წ. 10 წმ. (26 ქ-დან ხევით)	1 წამი	1	1 წ. 55 წმ
11. თხილამურები 5 კმ.	26 წუთი	6	1	16 წუთი
12. მარშ-ლაშქრობა 3 კმ.	44	10	1	27 წ. 20 წმ
13. მარშ-ლაშქრობა 5 კმ.	26	6	1	16 წუთი
14. ველოკროსი 10 კმ.	44	10	1	27 წ. 20 წმ
15. წოლითი მდგომარეობიდან დამატებული ფეხებით, ხელები თავს უკან ხეტანის აწევა და დაშვება	41	12	1	21 წუთი

ჩასათვლელი მოთხოვნები. I საფეხურის ნიშნის მისაღებად აუცილებელია 18-30 წლ. ვაჟებისათვის 250 ქულა. 31 წლ. და უფროსი ასაკის ვაჟებისათვის — 200 ქულა. 18-25 წლ. ქალებისათვის 200 ქულა. 26 და უფროსი ასაკის ქალებისათვის — 175 ქულა.

II საფეხურის ნიშნის მისაღებად საჭიროა: 18-30 წლ. ასაკის ვაჟებისათვის 450 ქულა, 31 და უფროსი ასაკისა — 350 ქულა. 18-25 წლ. ასაკის ქალებისათვის — 400 ქულა, 26 წლ. და უფროსი ასაკისა — 300 ქულა.

კავშირის კრებულზე

ამას წინათ მოეწყო თბილისის ფიზკულტურის ცენტრის სადაც მოხსენებით სპორტისათვის შორის აღმზრდელთა კომიტეტის თაობის გაუმჯობესების შესახებ — გამოვიდა ფიზკულტურისა და სპორტის თბილისის კომიტეტის თავმჯდომარე გ. რცხილაძე.

— ის წარმატებები, — თქვა მომხსენებელმა, — რომლებიც მიმდინარე წელს ჩვენმა სპორტსმენებმა მოახერხეს, ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების, მწვრთნელების ნაყოფიერ მუშაობაზე მეტყველებს. განსაკუთრებით სასიხარულოა ნორჩ სპორტსმენთა გამარჯვება მოსწავლეთა V საჯარო სპორტისა და ფეხბურთის მსაჯულთა მომხსენებელმა მოიყვანა მრავალი მაგალითი იმისა, თუ როგორ წარმატებით უთავსებენ ჩვენი მოწინავე სპორტსმენები სწავლასა და შრომას სპორტში მეცადინეობას. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ყოველივე ამის მიუხედავად, სპორტსმენთა შორის პოლიტიკურ-რევოლუციური მუშაობაში გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებები.

დისციპლინის დარღვევის მრავალ შემთხვევას ჰქონდა ადგილი მიმდინარე წელს. განსაკუთრებით „გამოიჩინეს თავი“ მოქიდავებმა: ჩქარულმა, ოთარაშვილმა, სულაშვილმა და არაბულმა, რომლებიც დისკვალიფიცირებულ იქნენ, ხოლო ორ უკანასკნელს სპორტის ოსტატის წოდებაც ჩამოერთვა.

სპორტსმენთა სწორად აღზრდის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი მწვრთნელს ეკუთვნის. ეს ყველა სათვის ცნობილია, მაგრამ ზოგიერთი მწვრთნელი თავის აღსაზრდელებს ცალმხრივად უდგება და ფიქრობს მისი საქმე მხოლოდ სპორტული მიღწევებია, მაგრამ, განაგრძობს მომხსენებელი, — არც მწვრთნელთა შორის არის ეს დიდ მნიშვნელოვანი საკითხი სათანადო სიმძლავრეზე. ამის საილუსტრაციოდ მან მოიყვანა რამდენიმე ფაქტი: ფიზკულტურის ინსტიტუტის მძღველთა კათედრის მასწავლებელმა ო. ლაქერბაძემ ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა გაუწია „დინამოს“ სტადიონის თანამშრომელს. უფრო უარესი საქციელი ჩაიდინა პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის თანამშრომელმა გ. კობახიძემ.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა სპორტსმენთა გადაბირების მავნე პრაქტიკაზე, რომელიც დღემდე არაა აღმოფხვრილი.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სამსონიძე, კომპაგნიური და ფიზკულტურული მუშაკები, სპორტსმენები. მათ წამოაყენეს წინადადებები, რომელთა განხორციელება დიდად შეუწყობს ხელს დედაქალაქის სპორტსმენთა შორის აღმზრდელთა მუშაობის მკვეთრ გაუმჯობესებას.

ჩამბარებელმა ნიშნის მისაღებად საჭირო ქულები უნდა მოაგროვოს სხვა სახეობათა ხარჯზე უფრო მაღალი შეფასების მიღებით.

4) ერთ-ერთ რომელიმე სახეობაში ნორმატივების ჩამბარებისას „0“ მიღების შემთხვევაში სამკერდე ნიშანი არ გაიცემა.

შენიშვნა: 25 წლის ასაკზე უფროსი ქალებისა და 30 წლის ასაკზე უფროსი ვაჟებისათვის სპორტული თანრიგი აუცილებელი არაა.

1) ნორმატივის ჩამბარებულ მუდგების პერიოდში ყველა ჩამბარებულმა უნდა მოიხმინოს საუბარი საბჭოთა კავშირში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საკითხებზე, აგრეთვე პირადი ჰიგიენისა და თვითკონტროლის შესახებ.

2) იმ შედეგებისათვის, რომლებიც აღემატება 100 ქულას, შესაბამისად დაემატება ქულათა მეტი რაოდენობა.

3) იმ რაიონებში, სადაც არ ხერხდება ნორმატივების ჩამბარება ცურვაში, მშთ კომპლექსის ნორმატივების



სურათზე: ზესტაფონელი უბუცესი მხედარი ა. მხეიძე, რომელიც საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტის მიერ დაჯილდოებულია ოქროს მედალით.

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 14 სექტემბერი.

„ლოკომოტივი“ (ქუთაისი) — ტრუდი“ (ასტრახანი) — 4:0 (1:0).

„ტრუდი“ — ვინოგრადოვი; გალდინი, ფერაფანტოვი, კლიმოვი; გრიგორიევი, პოპოვი; დიუმაევი, შაპო...

თამაში ქუთაისელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ ასტრახანელთა მთელა შემაღენლობა დაცვაზე იყო და მასპინძლებს თამაშის გაშლის საშუალება არ აქვდა.

მატჩის მე-8 წუთზე ქუთაისელებმა მაინც მოახერხეს ანგარიშის გახსნა — ქორდანია სორდის მოწოდებიდან გაიტანა ბურთი. მე-12 წუთზე სტუმრებმა დაკარგეს გოლის გატანის ერთადერთი შესაძლებლობა მთელ თამაშში.

შნიკოვი, ზინოვიევი, გრუდინი, ზოგდანოვი, მარინოვი, „ლოკომოტივი“ (ქუთაისი) — ტრუდი“ (ასტრახანი) — 4:0 (1:0). კეხაძე, ნათიძე, ცხოვრებოვი; კილაძე, დავარაშვილი; კახიანი (პეტრიაშვილი), სორდია, ქორდანია, გომელაური, ზარანდია, მსაჯი შიშოვი (მოსკოვი).

შეხვედრის მეორე ნახევარი უფრო შედეგიანი გამოდგა. სტუმართა კარი ორჯერ ზედზედ გადაიარა აშკარა გოლს, მაგრამ რძე წუთზე ზარანდია — სორდია-ქორდანია-ზარანდიას კომბინაცია გოლით დამთავრდა. 4 წუთის შემდეგ ქორდანია 30-მეტრტიანი საჯარიმოდან მეამე გოლი გაიტანა. შეხვედრის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე ზარანდიამ მეთხედ იძულება სტუმრები თამაში დაეწყოთ ცენტრიდან. გაიმარჯვეს ქუთაისელებმა — 4:0. ლ. შაჩაუშვილი

10,4—ასეთია რ. ტრაპაიძის შედეგი

ჩვენი რესპუბლიკის ველოსიპედისტები ნატახტარის მიდამოებში სამართლიანად უწოდებდნენ „საკუთარ ბაზას“, რადგან აქ თითქმის ყოველწლიურად იმართება შეჯიბრებები საგზატყვილო რბოლაში. გასულ კვირას სპორტსმენთა ახალი ჯგუფი ესტუმრა ამ მიდამოებს, მაგრამ ამჯერად... საქართველოს 1958 წლის პირად-გუნდური პირველობის მონაწილე მძლეოსნები 20.000 მეტრზე რბენაში. ეს იყო ერთადერთი სახეობა, რომელიც „დინამოს“ სექტორების ფარგლებს გარეთ ჩატარდა. მცირე მართონით დაიწყო რესპუბლიკური ჩემპიონატი, გამარჯვებული გამოვიდა თბილისელი კ. აგრაბა — 1:05.49,8 და პირველმა მოიპოვა ჩემპიონის სახელი.

საპარტიველოს პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში

აქ სტარტზე არ გამოხსულა პროფკავშირების საკავშირო სპორტკლუბის ჩემპიონი ლ. ანთაძე (იგი დასავლეთ გერმანიაში გაემგზავრა), რომელმაც ორჯერ ზედიზედ აჩვენა საუკეთესო შედეგი — 10,4 წამი, რბენა მაინც საინტერესოდ ჩატარდა. წინასწარ გარბენში მხოლოდ სამმა სპორტსმენმა უ. ჯარაშენელმა, რ. ტრაპაიძემ (ორივემ 10,7 წ.) და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონმა მოსწავლეთა შორის ა. ბედუქაძემ (10,9) აჩვენეს 11 წამზე უკეთესი შედეგი. პირველი ნახევარფინალური გარბენი ერთნაირი შედეგით — 10,7 დამთავრეს ჯარაშენელმა და ლომთაძემ და ფინალში შევიდნენ. მეორენახევარფინალურ გარბენში ტრაპაიძემ, რომლის ძირითადი კონკურენტები იყვნენ კლუბი და ბედუქაძე, აჩვენა შესანიშნავი შედეგი — 10,4 წამი და შესარულია ოსტატობა, კლუბმა 0,1 წამით წააგო, ბედუქაძემ აჩვენა ქაბუკებისათვის შესანიშნავი დრო — 10,6 წამი, რაც 0,2 წამით აღემატება ქაბუკთა საკავშირო რეკორდს, მაგრამ რეკორდად არ დამტკიცდება, რადგან იგი ნაჩვენებ იქნა მესამე ადგილის მოპოვებით მოზრდილთა შეჯიბრებაზე.

კოვი — 46,58 მ და ლ. ნეცევესკი — 44,08 მ (ყველა თბილისიდან), რომლებსაც სივლეები გადასცა მძლეოსნობის ვეტერანმა, ჩვენი ქვეყნის არაერთგზის რეკორდსმენმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა გ. შხვაძემა. 5 კილომეტრზე რბენაში საინტერესო არაფერი მომხდარა. სერგეევმა, რომელიც ფაქტიურად მარტო იბრძოდა, მეორე თანრიგის შედეგით პირველმა დამთავრა დისტანცია — 15.10,8. უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში მას შეეძლო გაეუმჯობესებინა რესპუბლიკური რეკორდი — 14.52,8, რომელიც სპორტის ოსტატ ვ. ვაშაქიძე ეკუთვნის.


დაბალი შედეგით დამთავრდა ვაჟთა შეჯიბრება სიმაღლეზე ხტომაში. იმის გამო, რომ რესპუბლიკის რეკორდსმენი რ. შავლაყაძე საბჭოთა კავშირის სხვა სპორტსმენებთან ერთად რუმინეთში გაემგზავრა რესპუბლიკის ღია ჩემპიონატი მონაწილეობის მისაღებად, საქართველოს ჩემპიონის სახელი დარჩა ლ. გორბაჩოვს (თბილისი), რომელმაც მხოლოდ 185 სმ დაძლია.

ლ. გორბაძე,

საკავშირო კატეგორიის მსაჯი,

ო. გელაუშვილი.

სხვა შეხვედრათა ტექნიკური შედეგები ასეთია: ქალბები — სიგრძეზე ხტომა — ე. ივლიევა — 5,58 მ. ვაჟები: ბადრო — გ. ჩაღუნელი (თბილისი I) — 44,75 მ.



სურათზე: 110 მეტრზე თარჯრბენის მონაწილენი დისტანციან ფოტო მ. ზარგარიანისა.

როგორც ცნობილია, ოქტომბრის მეორე ნახევარში ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ესტუმრებიან საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა უკეთესი კოლექტივები საკავშირო გუნდურ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად. მოკავშირე რესპუბლიკეებში, მოსკოვსა და ლენინგრადში კვეთარებენ თავიანთ პირველობებს, არჩევენ მათ, რომლებსაც მიენდობათ თავიანთი კოლექტივის ინტერესების დაცვა ობილისში. ცხადია გულბელდარეული ვერც მასპინძლები დახვდებიან სტუმრებს სწორედ რესპუბლიკის ახალი ჩემპიონების, უძლიერესი სპორტსმენების გამოვლენების ისახავს მიზნად მიზანდარე პირველობაც.

წარმატებით დაიწყო პირველი დღე საქართველოს მძლეოსნებმა, რომლებიც ორ ჯგუფად არიან დაყოფილი. პირველ ჯგუფში (ჩაბათველი ნორმატივი II თანარები) პირველობას ერთმანეთს ეცილებიან თბილისის (ორი), აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისისა და ფოთის კოლექტივები. მეორე ჯგუფში თავი მოიყარეს გორის, მახარაძის, რუსთავის, ონის, სამტრედიის, ზუგდიდის, ახალციხისა და ხაშურის გუნდებმა (ჩაბათველი შედეგის III თანრიგი).

მხოლოდ 2,1 წამი დააკლდა 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში გამარჯვებულ ა. შერბინას (თბილისი), რათა თავისივე რესპუბლიკური რეკორდი გაეუმჯობესებინა, სამაგიეროდ, საქმიოდ მალაი შედეგებით აღინიშნა ვაჟთა წინასწარა ნახევარფინალი 100 მეტრზე რბენაში, მაუხნდავად იმისა, რომ

მოსკოვის „დინამო“

ჩემპიონი

მოსკოვი დამთავრდა კალათბურთულ ქალთა საკავშირო ჩემპიონატი. მეხუთე ტურში მოსკოვის „დინამომ“ ანგარიშით 33:26 დაამარცხა თბილისის „ბურვესტნიკი“, ხოლო უკანასკნელ დღეს წააგო მოსკოვის „ტრუდიან“ — 41:59 და მეთერთმეტედ მოიპოვა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდება. უკანასკნელ მატჩში ტარტუს „კალემა“ თბილისის „ბურვესტნიკთან“ გამარჯვებით — 54:45 მეორე ადგილი დაიკავა. მესამე ადგილი მოიპოვა რიგის „დაუგავამ“, რომელმაც უკანასკნელ ორ შეხვედრაში ძლია კუნთის „ვალგირის“ — 43:33 და ლენინგრადის „ბურვესტნიკს“ — 64:46.

ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთელებმა მოიპოვეს მე-10 ადგილი. ბოლო ადგილებზე გამოვიდნენ როსტოვის „ბურვესტნიკისა“ და სვერდლოვსკის „ტრუდის“ კალათბურთელები, რომლებიც მომავალ წელს ითამაშებენ „ბ“ კლასში.

ჩვენი რესპუბლიკის ზეთი სპორტსმენი — ქველიძე, ჯაფარიძე, ჯანელიძე, საბადაშვილი და მარტიროსოვა შეეცნვილი არიან ახალგაზრდათა საკავშირო ნაკრებში.

გაკო

ტელეფონით. მეექვსე ტურში დამთავრდა მხოლოდ სამი პარტია. სოკოლსკიმ, რომელიც თეთრებით თამაშობდა ნიკოლაევსკის წინააღმდეგ, შეძლო შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაემთავრებინა. ტაიმა ნოვმა კარგად ისარგებლა დასაწყისში ანტონის მიერ დაშვებული უმნიშვნელო შეცდომით, თანმიმდევრულად ჩაატარა პარტიის დაბოლოება და გამარჯვა. ყამიზე შეთანხმდნენ პოლუგაევსკი და ესტრინი. დანარჩენი პარტიები გადაიდო. ლომიასა და შიშოვის ცუდი მდგომარეობა აქვე პალიტბილით და ჩუქავთან.

გუმინ რედაქციამ პოლტაიდან მიიღო დეპეშა, რომელიც იტყობინება, რომ აქ მიმდინარე ქალთა საკავშირო პირველობის ნახევარფინალურ ჯგუფში საქართველოს ჩემპიონმა მ. ტოგონიძემ ხუთი ტურის შემდეგ მოაგროვა 3,5 ქულა და მეორე ადგილზე იმყოფება.

რედაქტორი ი. უზულაპა.